შევიდეს შემდეგი ცვლილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (07/02/2013) დადგენილებაში „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ“

1. პუნქტი 3-ის 3.1. ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

   3.1. დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო; დოქტორანტს კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენება შეიძლება ჩაეთვალოს სასწავლო ან კვლევით კომპონენტად და მიენიჭოს შესაბამისი კრედიტი თსუ დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. ამ შემთხვევაში დოქტორანტმა კონფერენციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურში წარმოადგინოს ნაბეჭდი ნაშრომი, რომელიც მოიცავს:

   - სატიტულო გვერდს და სარჩევს
   - ლიტერატურულ მიმოხილვას
   - კვლევის მიზანს და ამოცანებს
   - კვლევის მეთოდიკას
   - მიღებულ სამეცნიერო შედეგებს
   - დასკვნებს
   - გამოყენებულ ლიტერატურას.
2. პუნქტი 6 დან ამიღებულ იქნას ქვეპუნქტი 6.1.